სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #06-26; 17.07.2026

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკა

თბილისი

2026

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასა და სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკა

საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიზანია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) კვლევითი საქმიანობისა და სწავლა-სწავლების პროცესში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის განსაზღვრა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება.

მუხლი 1. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მხარდაჭერა და პრინციპები

1. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სწავლა-სწავლების, კვლევისა და ექსპერტიზის პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების, როგორც დამხმარე რესურსის, ისე გამოყენებას, რაც ამდიდრებს სწავლა-სწავლებისა თუ კვლევით პროცესს და უწყობს ხელს მისი ეფექტიანობის ზრდას, თუმცა არ ცვლის ადამიანის შემოქმედებით და საკვანძო როლს.
2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობას, საავტორო უფლებების პატივისცემას, პასუხისმგებლობას, სამართლიანობასა და სანდოობას სწავლა-სწავლებისა და კვლევის ყველა ეტაპზე.

მუხლი 2. სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

1. სასწავლო პროგრამების ფარგლებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ფორმას, მოცულობასა და დასაშვებ ფარგლებს განსაზღვრავენ შესაბამისი სასწავლო კურსების ხელმძღვანელები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საუნივერსიტეტო პოლიტიკის პრინციპებისა და აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.
2. სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები და კრიტერიუმები უნდა შემუშავდეს ისე, რომ გულისხმობდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესრულებული დავალებების ადეკვატურ შეფასებას.
3. სასწავლო კურსში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დაუშვებლობის შემთხვევაში, შესაბამის სილაბუსში ან კონკრეტული დავალების მოცემულობაში უნდა მიეთითოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების აკრძალვის, დაუშვებელი პრაქტიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების შესახებ.

მუხლი 3. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კვლევაში

1. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით განხორციელებული ყველა კვლევა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ინსტიტუციური ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, მათ შორის, „პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების წესს“.
2. მკვლევარს მოეთხოვება, მკაფიოდ წარმოაჩინოს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების მოცულობა და მიზნები, ასევე წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ. სადაც შესაძლებელია, ის უნდა მოიცავდეს მონაცემთა ნაკრებების, ალგორითმებისა და მოდელების აღწერას.
3. კვლევის შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მკვლევარს. არ შეიძლება ხელოვნური ინტელექტი ჩაითვალოს კვლევის ავტორად.
4. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უნდა აღინიშნოს იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კვლევით პროცესში. მკლევარმა, ჟურნალის სტატიის ავტორმა, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რომლის ფორმაც ეფუძნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სტანდარტს (დანართი 1). მკვლევრის ვალდებულებაა, უზრუნველყოს სათანადო დამოწმება და თავიდან აიცილოს პლაგიატი.
5. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება რეცენზირების პროცესში აკრძალულია. რეცენზირება სამეცნიერო საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს ცოდნას, გამოცდილებას, კრიტიკულ განსჯასა და ეთიკურ პასუხისმგებლობას. რეცენზენტი ნაშრომის შეფასებისას უნდა დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას.

მუხლი 4. მონაცემთა კონფიდენციალობა და უსაფრთხოება

1. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ჩატარებული კვლევა სრულად უნდა შეესაბამებოდეს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის „მონაცემთა დაცვის პოლიტიკასა“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ევროპის კავშირის სამართალს. კვლევაში პერსონალური მონაცემების გამოყენებისას ისინი უნდა დამუშავდეს უსაფრთხოდ და კონფიდენციალობის დაცვით, კანონმდებლობის შესაბამისად.
2. აკრძალულია ანონიმიზაციის ან ფსევდონიმიზაციის გარეშე ნებისმიერი პერსონალური მონაცემის ატვირთვა AI ინსტრუმენტებში.
3. აუცილებელია მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობის უზრუნველყოფა საავტორო ნამუშევართა დამუშავებისას, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ეთიკური და სამართლებრივი რისკები.

მუხლი 5. ხელოვნური ინტელექტის საუნივერსიტეტო პოლიტიკის გამოყენებაზე მონიტორინგი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მონიტორინგის მექანიზმებს, რათა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკის დაცვა ეფექტიანად განხორციელდეს. პოლიტიკის დარღვევა შეიძლება გახდეს დისციპლინური ზომების მიღების საფუძველი უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხარდაჭერა

1. ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების სრულყოფილად გააზრებისა და კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და მკვლევართა პროფესიულ განვითარებას ტრენინგებისა და დამხმარე საგანმანათლებლო საშუალებებით.
2. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს უნდა მიეწოდოთ შესაბამისი სასწავლო კურსების საშუალებით. შესაბამის სილაბუსებში ყურადღება უნდა გამახვილდეს კურსდამთავრებულებისთვის ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანად და კეთილსინდისიერად გამოყენების უნარების გამომუშავებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს ხელოვნური ინტელექტის შესახებ სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

განაცხადი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ

გამოგიყენებიათ თუ არა AI ინსტრუმენტები კვლევის რომელიმე ნაწილის შექმნის, რედაქტირების, თარგმნის ან წარმოებისას (მაგალითად, ტექსტი, გამოსახულებები, ვიდეო, აუდიო, განლაგება, დიზაინი ან სხვა მასალები)?

☐ დიახ ☐ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დაურთოთ დამატებითი დამხმარე დოკუმენტაცია):

AI ინსტრუმენტის დასახელება	დამუშავებული შინაარსის ტიპი (ტექსტი, გამოსახულება, გრაფიკები ან ცხრილები, ვიდეო, განლაგება და სხვ.)	როგორ გამოიყენეთ და მისაწოდებელი პროდუქტის რომელ ნაწილ(ებ)ში

ვადასტურებ წარმოდგენილ ინფორმაციას და ვიღებ პასუხისმგებლობას მის სისწორეზე.

სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი, ადგილი